

მამული

გიორგი კაჭახიძე სამშობლოს გარდა

ხან სერს ვამწვანებ, ხან სიტყვას ვრანდავ,
ხან მომატარებს ცხრა ცას ოცნება, -
მაინც ამქვეყნად, სამშობლოს გარდა,
ჯერ არ მინახავს სხვა საოცრება.

ჯერ ვარსკვლავების ასე შემკრები
სხვა ცა-ფირუზი მე არ მინახავს;
არ მომივლია უცხო ქვეყნები,
არც ოკეანე გადამილახავს.

თითქოს ბავშვი ვარ, თმათეთრა ბავშვი,
თითქოს ვაზი ვარ, ჭიგოს ჩაკრული,
წინანდლის ზვარში, ვარციხის ზვარში
ხელმადლიანი კაცის ჩარგული.

ხან სერს ვამწვანებ, ხან სიტყვას ვრანდავ,
ხან მომატარებს ცხრა ცას ოცნება, -
მაინც ამქვეყნად, სამშობლოს გარდა,
ჯერ არ მინახავს სხვა საოცრება.

30ივი, არ დამიჯერებთ, მაგრამ მე მაინც მინდა გითხროთ:

- ჩემთვის იმ დღეს არავის „ცხელოდა“ ვამინგტონში...

არც ჩემი სტუმარი კოლეგი-სათვის, რომელმაც შილერის სამ-შობლო გადმოლახა და ამერიკაში ჩამოფრინდა, საშობაოდ პენსილვანია ავენიუზე რომ გაესეირნა.

„Christmass in Washington“- იმდენად განთქმული დღესასწაუ-ლია, იმდენად გართულნი არიან მისი აღნიშვნით, რომ წარმოიდ-გინეთ, ჩემთვისაც ვერ მოიცალეს. სუძრობა ცივ იყოს და, კარგა გვარიანად იქილა იქ...

ყოველ სტუმრობაზე ვამინგტონ-ში რაღაც უცნაური განცდა მეუფ-ლება: მანქანას ქუჩაში ვტოვებ და სულ ფეხით ვურბენ მთლად ვამინ-გტონს.

მე მიყვარს ვამინგტონი... არ გავს ბინძურ და ცივ, ინტერნაციო-ნალურ ნიუ-იორკს, არც ირმებითა და პოლიციელებით ჩასაფრებულ ნიუ-ჯერსის, იგი უფრო ჩემს ქა-ლაქს მაგონებს, ან კიდევ თბილისს, ლესელიძის ქუჩას, ერეკლეს მოე-დანს, ქვაფენილიან ტროტუარებს და... კუს ტბას...

ხელოვნური თუ ბუნებრივი ტბე-ბით მდღარია ეს „ჩემი“ ვამინ-გტონი. სადაც ტბაა, იქ ზეივანიცაა, სადაც ზეივანია, იქ ძელსკამიც, სა-დაც ძელსკამია, იქ ვარ მეც!

- და სადაც მე ვარ, იქ ხარ შენც, ჩემო ძვირფასო მკითხველო!

* * *

ჩასვლისთანავე თეთრი სახლი-საკენ მივეშურებ, მაინტერესებს, თუ ისევე ისეთი თეთრია, როგორც უკა-ნასკენელი სტუმრობისას იყო.

გამოჩნდა კიდევ... ამოვიხუნთქე, ისევე თეთრი იყო, თოვლივით ქათ-ქათა, განათებული და საშობაოდ მოკაზმული ზუსტად ისეთი გვირ-გვინებით, ჩვენ რომ პანაშვიდებზე მივართმევდით ხოლმე მიცვალებუ-ლებს. ეს იყო, რომ ახლა შავი ბაფთის ნაცვლად წითელი ბაფთა ემოსა, ხოლო „დაგტორით კოლექ-ტივის“ ნაცვლად „Seasons gre-etings“.

ისე, თუ დაფიქრებულხართ, რა ოსტატურადაა გამოგონებული „Seasons greetings“ და არა „Merry Christmass“.

ამ ბოლო წარწერას უკვე იშვი-ათად შეხვდებით ამერიკაში, დაკ-ვირდებოდით კიდევ, რომ წელს „Macy“-ის ქსელში „Merry Chris-tnass“ არსად ეწერა, ყველგან ის წარწერა იყო, რომელშიც ვერ გა-არჩევდით რას გვოლოცავენ, - ახალ წელს, შობას, ხანუკას თუ ვახუ-ტს, „მამულის“ ორი წლის იუბილეს.

* * *

სიტყვა გამიგრძელდა, იმას გე-უბნებოდით, რომ სახლი ისევე თეთრი იყო, ვიფიქრე, არსად გამეცვლა-თქო, და პირველად ახალგაზსნობი მერ-ოქ მსოფლიო ომის მემორიალისა-კენ გავეშურე. ეს მემორიალი სულ რამდენიმე თვის წინ, გიორგობის-თვეში გაიხსნა და ლინკოლნ მე-მორიალის პირდაპირ მდებარეობს.

წინა ვიზიტისას, როცა „ფან-ქრიდან“ (ასე ეძახიან ვამინგტონ მემორიალს) დაბლა ვიჭყიტებოდი, თვალი მოგვარი, რომ ვრძელი შად-რევანის დასაწყისში რაღაც მშენებ-ლობა მიმდინარეობდა. მაშინ მით-ხრეს, რომ რეი ჩარლზის მემორი-ალი კეთდება. მესიამოვნა, ჯერაც არ გაცვიფრულა ცხონებული და

უკვე მემორიალსაც უგებენ-მეთქი. გულში გავიფიქრე, რომ ეს კიდევ ერთი ძველი იქნებოდა, რომელსაც ამერიკა ხარკად გასცემდა იმ ბრალ-დებების უარსაყოფად, რაც ხშირად რასიზმისა და საერთოდ მაკანია-ნების მიმართ იშმის...

მცდარი აღმოჩნდა მაშინდელი ინფორმაცია... როცა CNN პირ-დაპირ ეთერში ამ მემორიალის გახ-სნის ცერემონიას აჩვენებდა, მივ-ხვდი რომ მაშინ ვილაცამ შეცდო-მამი შემიყვანა... უხეშად რომ ვთქვა, მომატყუა...

მემორიალი წრის ფორმის კედ-ლებია, ცივი ფილებით და გვირგვი-ნებით (მხოლოდ აქ ვხვდებით გვირ-გვინებს გამართლებულად, რადგან იგი ფრონტზე დალუპულთა ხსოვ-ნისადმია მიძღვნილი). თითოეულ ფილას შტატის სახელი აწერია, ხოლო მემორიალის ცენტრში შად-რევანია, მის კედელზე 4 ათასი ოქროსფერი სუთქიანი ვარსკვლა-ვია მიჭედებული, თითოეული 100 დალუპულ მებრძოლს გამოხატავს, და მთლიანობაში 400 ათასს, ასე ზუსტად დამრგვალებულ ციფრს ქნის, შტატებმა რომ დაკარგა ფრო-ნტის ხაზზე.

კედლის ნაპირებზე ამერიკის პრე-ზიდენტების გამონათქვამებია ამოტ-ვიფორული. ვერსად შეხვდები სიტყ-ვას ამ ომის მნიშვნელობის, თუნ-დაც დალუპულთა იმ 9 მილიონი-ანი დანაკლისის შესახებ, რომელ-შიც ჩემს პატარა ქვეყანასაც კარ-გა გვარიანი წილი უდევს.

მეორე მსოფლიო ომი ჩემში გერ-მანიასა და საბჭოთა კავშირის შო-რის გამოცხადებულ ომად ასოცირ-დება, არადა, ჩემი ისტორიის მას-წავლებელს არ უსწავლებია ჩემ-თვის, თუ რა შუაში იყო ამ ომში ან ამერიკა, ან იაპონია, ან ინგლისი, ან ის მატყურა, „მოლაღატე“ საფ-რანგეთი. ამაში მარტო ჩემს მას-წავლებელს ვერ დავადანაშაულებ, წიგნში არ ეწერა ამის შესახებ, სიზმრადაც არ დაეისიზმრებოდა და აბა როგორ მასწავლებოდა?

ეს ომი უფრო სხვა დროს სასა-უბრო თემაა, მე ის მალეღვებს, რომ ვერც ამ მემორიალით ვეტყვით შთამომავლობას, თუ ვისი გამარ-ჯვებით გასრულდა ეს ომი.

მემორიალის დათვალიერების შემდეგ ფეხით ლინკოლნ მემორი-ალისაკენ მივეშურები. რაც უფრო მოკლე მანძილი გვონია, მით უფრო გრძელდება გზა...

იმ „ბოზოლა“ სვეტებში არც კი ჩანს ლინკოლნი, გვერდება თით-ქოს „დამაღობანასაც“ გეთამაშება, ხან მუხლისთავს ვიჩვენებს, ხან კიდევ ხელის გასაოცრად დიდ მტე-ვანს. „ნამეტნავად უაზროდ“ და-გვემარებოდა ეს მემორიალი. შო-რიდან მხოლოდ ნაგებობა ჩანს, ის ძველი კი არამც და არამც... წარ-მოიდგინეთ, პერძენიშვილის ხელ-თუქმნელი ძველი, დავით აღმაშე-ნებელი რომ ქუჩის მოპირდაპირე მხარეს დაგვედგა, ვგრეთწოდებულ „ანდროპოვის ყურებს“ შორის, რო-გორი სანახავი იქნებოდა... კიდევ კარგა, ასეთი რამ დიდ დავითს მართლა არ ვაკადრეთ, ყოვლისშემ-ძლე, უამრავ ომთა გადამტანი, არ წამოვასკუპეთ, არ მეძლეუ ჩრდილ-ში, ამ მაღლიანი წვიმისა და სპე-ტაკი თოვლის გარემოში, მწველი მზის სხივის მაღლის შეუგრძნობლად...

მე შესძის, ლინკოლნი რომ ნახო, უნდა ეახლო, მაგრამ ისიც ხომ



უნდა დავინახოთ, რომ იგი ერთი თაბახის თუ დარბაზის ექსპონატი უფროა, ვიდრე მთლად ქალაქის მშენებელი თუ პასპორტი, რომელ-საც მაღლიანი „ქართლის დღეს“ მსგავსად ქალაქის ყველა კუნჭული-დან დაინახავ.

ასე აფასებენ პრეზიდენტებს, ერთს გადახურულში მალავენ, მე-ორეს საპატივცემულოდ კი უზარ-მზარ „ფანქარს“ აშენებენ, ფან-ქარს, რომელიც შენს შეგრძნებაში აუცდებლად დიდ კითხვის ნიშანს დასვამს:

- სად ფანქარი და სად ვამინ-გტონი?..

ვამინგტონის „ფანქარი“ რემონ-ტში იყო, მასში მოხვედრა ამჟამად ვერ მოვახერხებ, ამიტომაც ამ წერი-ლში მასზე ნაკლებად ვისაუბროთ...

მე ახლა ჯორჯ ვამინგტონის უნივერსიტეტის ლაბორინთებში ვარ, ყველა ფაკულტეტს თავისი ქუჩა თუ კორპუსი რომ აქვს. მე მედიის ფაკულტეტს ვეძებ, CNN-ის ერთ-ერთ გადაცემაზე, Crossfire-ზე მაქვს დასასწრები ბილეთი.

ჩემს პირდაპირ, კორპუსის ეზოში ძველი დგას (ვამინგტონის სხვა ძეგლებისგან განსხვავებით, ამჯე-რად უცხენოდ). ძეგლს რაც უფ-რო ვუახლოვდები, მით უფრო მეც-ნობა სახე. ღმერთო ჩემო, რა ნაც-ნობი სახეა... ჩვენი პუშკინი? არა! პუშკინს აქ რა უნდა? - გული კი-თხვითვე მასსუხობს.

მე არ ვიცი, რატომ შეცდა ჩემი გული, მაგრამ ახლოს მისულმა თავისუფლად ამოვიკითხე, რომ ძე-გლზე პუშკინი იყო.

გალაკტიონის ქვეყნის შვილმა, „პუშკინის დიდი რუსეთის“ შვი-ლობაც კი ვაღიარე, „ჩემიანი“ რომ ვნახე ვამინგტონში.

უცაბედად, კარგად დავიწყებუ-ლი ეს ლექსი გავიხსენე, სიტყვები ვუპოვე, თავში აღვადინე და გულში წავიკითხე:

Я ВАС ЛЮБИЛ:
ЛЮБОВЬ ЕЩЕ, БЫТЬ МОЖЕТ,
В ДУШЕ МОЕЙ УГАСЛА НЕ
СОВСЕМ;
Но пусть она вас больше
не тревожит;
Я не хочу печалить вас
ничем.
Я вас любил безмолвно
безнадёжно,
То робостью, то ревностью
то тими;
Я вас любил так искренно,
так нежно,
Как дай вам Бог любимой
быть другим.

წავიკითხე და დავასკვნი, პუშ-კინი კი არ მომკვდარა, დღეს დაი-ბადა ჩემში...

* * *

საერთოდ ასეა, როცა უცხო ქა-ლაქში ხარ, ათვლის წერტილს იღებ

და მის ირგვლივ ტრიალებ.

ასეა ვამინგტონშიც, ჩემი ათე-ლის წერტილი თეთრი სახლია. ხოდა იქით მივეშურები მეც!

ოი, საოცრება! თვალი თეთრი სახლისაკენ გამეცქერა და რა დავი-ნახე?!

ვიცი არ დამიჯერებთ, მაგრამ ფოტო-აპარატით გადაღებულ ამ სურათს მაინც დაუჯერეთ:

- თეთრი სახლის წინ მენორა დაუდგამთ!

ღიას! ღიას! მენორა, ებრაული დღესასწაულის - ხანუკას სანთლე-ბი.

თუ სწორად მახსოვს, ხანუკა ებრაელების დღესასწაულია, 25 ქის-ლევის (დეკემბერს) იწყება და 8 დღე გრძელდება. „ხან“ - ნიშნავს დასვენებას, „კა“ - ოცდახუთს, სიტყ-ვა-სიტყვით „25-ში დასვენებას“. მეტიც მახსენდება, დეკემბრის 25-ში ებრაელებმა გაიმარჯვეს ბერძენ-ზე, რომელთაც მათი სულიერი განა-დგურება უნდოდათ. ისინი უკრძა-ლავდნენ იმის გაკეთებას, რაც ყვე-ლაზე წმინდად მიაჩნდათ - შაბა-თის შენახვას, თორის სწავლას და ბრითიმილას. ებრაელთა შორის აღ-მოჩნდა ყველაზე მტკიცე ადამიანი - კოენი მატეტი ანგუ, რომელმაც სძლია ბერძენების წინააღმდეგობას და 25 დეკემბერს პირველმა გაანა-თა მენორა.

კაციც ეგ ყოფილა... ისე მაგ-რად გაანათა, რომ ავერ, ვამინგტონ-შიც კი ანათებს!

მე ჩემი გულისტკივილი მაწუ-ხებს...

და ეჭვიც... და აზრიც რომ არ ვითქვა, ალ-ბათი შევიშლები...

არამც და არამც იფიქროთ რა-იმე საწინააღმდეგო მაქვს მენორა-ზე ვამინგტონში. უამრავი ებრაე-ლი მეგობარი მყავს, აქაც და საქე-რთველოშიც, მეც იმ ერთთაგანი ვიყავი, თვალცრემლიანმა რომ გა-აცვილა ისრაელში უნიჭიერესი გერ-მანისტი მალხაზ სეფიაშვილი, უმ-ცროს მეგობარს მემანის დღესაც ჩემი კოლეგა და მეცნიერი ვიო-ლეტა ბუზიაშვილი, ყოველთვის ღია ჩემთვის ჩვენი საყვარელი ხე-ლოვნებათმცოდნისა და ჟურნალის-ტის ოთარ სეფიაშვილის სახლის კარი, მისი მეუღლე ქალბატონი სიგალი საგანგებოდ ჩემთვის იმე-რულ ზაჭაპურს აცხობს, და კიდევ რამდენი ერთი ჩამოვთვალო...

რა მინდოდა ამით მეთქვა? ალ-ბათი ის, რომ ქართველებს ებრაე-ლებთან თითოთი მისათითებელი, 26-საუკუნოვანი მეგობრობა გვაკავში-რებს. და ეს მეგობრობა რომ ნაღდ არ ყოფილიყო, 26 საუკუნე ნამ-დვილად ვერ შეინარჩუნებდა დღე-საც შესაშურ სიმტკიცეს.

დღეს ყველაზე მეტად მათ მშვი-ლობა ჭირდებათ საკუთარ ქვეყანაში, და ეს მშვიდობა მინდა ვუთხრო!

სათქმელი და გასაკვირი კი მა-ინც უნდა ვთქვა...

ქვეყანა, ამერიკაზე ვამბობ, რომე-ლიც მსოფლიოში, და არა მარტო მსოფლიოში, არ იქნება გადაჭარბე-ბული, თუ ვიტყვოდი, დედამიწაზე პოლიტიკურ ამინდს ქნის და ლი-დერის როლში გვეკვლინება, ასე არ უნდა ემხრობოდეს ერთ ერსა თუ რელიგიას... თანაც იმის ფონზე, რომ პალესტინელებიც ცხოვრო-ბენ ამერიკაში. და თუკი მაინც დადგამენ მენორას, რომელზეც სა-წინააღმდეგო მართლა არაფერი მაქვს, ნუ დაივიწყებენ სხვა ერებს, რელიგიებს, პალესტინელებსაც ექ-ნებათ საკუთარი დღესასწაული, ქარ-თველებსაც და აზერბაიჯანელებ-საც... მე შენ გეტყვი და ვერ შეეე-დრებით სხვა ერებს...

ის მართლა არ მინდა ვიფიქრო, რომ ერთგვარ ხარკისცემას აქვს ადგილი, მარტო ერთი ერისა თუ სხვაულის პატივისცემა (იმის ფონ-ზე, რომ სხვა სხვაულის ქვეყნები-სადმი ფარული ბრძოლის გაქვს) იმას მახსენებს, ზოგ დედას რომ ერთი შვილი გამორჩეულად უყვარს, და დანარჩენი „ისე რად“...

მაგნარი დედას მე ვერ ვუწონებ დედობას!

ალბათ იმიტომ, რომ ჩემს დედი-ნაცვლასაც (შეგკრთი ამ სიტყვის ხსენებაზე) არ გავურჩევიათ სა-კუთარი შვილისაგან.

ახლა მეტყვით, ნაბოლარა ან პირველი შვილი გამორჩეულად საყ-ვარელიაო. არ ვიკამათოთ! 3500-წლიანი ქუთაისის ფონზე არამგო-ნია ბერძნად დაიკვივნოს ხნოვანებით, მარტო ჭადრები დგას საქართვე-ლოში ზუსტად იმ ხნის, რამდენი-საც კოლუმბის თუ ვესტბუჩის აღ-მოჩენილი ქვეყანა!

* * *

ამერიკა მე არასოდეს დამიჯე-რებს! გაისადაც „ააღვაფლავებს“ მე-ნორას! მე ის მაწუხებს, რომ ჩემი ჩივილია კი მინდა ვამინგტონში!

... ხიდან გამორჩენილი, ბურ-ბუშელება ხე, საოცრად ქართული, და მარტო ქართული!

ის ვიცი, მატეტი ანგუმ რა გაუ-კეთა თავის ერს, მაგრამ მე ისიც მახსოვს, რაც აღმაშენებელმა, თამა-რმა, ბრწყინვალემ ან თუნდაც სა-კამქმ შეძლო... ერად დაგვტოვა... ან კიდევ ქეთევან წამებულმა, მო-წამე მძებმა დავითმა და კონსტან-ტინემ... ქრისტიანებად რომ დაგ-ვტოვეს...

ისაა, რომ ჩვენი ამყოფა, ჩვენი წარსულის ფასი არ ვიცით, გლა-ხები ვართ...

თორე, მართლა რომ ვქართვე-ლობდეთ, თეთრი სახლის წინ კი არა, ჩინეთის დიდი კედლის შე-სასვლელში დაგვადმდი ჩიჩილაკს...

მე ჩემი ჩიჩილაკი მინდოდა ვა-მინგტონში!

მანუჩარ კაჭახიძე



ბაიოზ კერატინილის ახალი რედაქცია ქართული ოთხთავისა

სახარება მასობრივად

დასაწყისი ნი. „მამული“ № 14-17, 22-24

თავი 21

- და ვითარცა მიუახლოვდნენ იერუსალიმს და მივიდნენ ბეთზაგემი ზეთის ხილის მთასთან, მაშინ წარავლინა იესომ თავისი ორი მოწაფე-თავადანი
- და უთხრა მათ: წარვედით სოფელსა მაგას, რომელ არს წინაშე თქვენსა, და მაშინვე ჰპოვოთ დაბმული ვირი და მასთან ერთად კვიცი; აღსენით და მომიყვანეთ იგი.
- და უკეთუ ვინმე გითხრათ რაიმე, თქვენ უთხარით, რამეთუ უფალსა სჭირდება-თქო ესენი და მაშინვე გამოგზავნის მათ.
- ესე ყოველი იქმნა, რათა აღესრულოს სიტყვა იგი წინასწარმეტყველისა, რომელმაც თქვა:
- უთხარით ასულსა სიონისასა: აჰა, ესერა, მიუფე შენი შენთან მოდის მშვიდი და მჭდარი ვირსა და კვიცი სახედრისაგან შობილისა.
- ხოლო მოწაფენი წარვიდნენ და ჰყვეს ისე, ვითარცა უბრძანა მათ იესომ.
- და მოჰგვარეს ვირი იგი და მასთან ერთად კვიცი, და გადააფინეს სამოსელი და შეჭდა მას ზედა.
- ხოლო უმრავლესნი ხალხისა გზასა ზედა უგებდა თვისთა სამოსელსა და სხვანი კი ჰკაფავდნენ ხეთა რტოებს და უფენდნენ გზაზე.
- და ხალხი, რომელიც წინ მიუძღოდა და მოსდევდა უკან, დაღებდა და იძახდა: ოსანა ძესა დავითისას! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ოსანა, რომელიც ხარ მალალთა შინა!
- და ვითარცა შევიდა იგი იერუსალიმში, შეიძრა მთელი ქალაქი და ამბობდნენ: ვინ არის ესე?
- ხოლო ხალხი ეუბნებოდა: ესე არს წინასწარმეტყველი იესო გალილეის ნაზარეთიდან.
- და შევიდა იესო ტაძარსა მას ღვთისასა და გამოერკა ყველა გამოიდგელი და მყიდველი ტაძრიდან, და მეკერძოებო მადიდებელნი და მერხებნი მტრედების გამყიდველთა დაამხო.
- და უთხრა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლი სალოცველი ეწოდოს, ხოლო თქვენ ავაზაკთა ქებად გადაგვიქცევით იგი.
- და მივიდნენ მასთან ტაძარსა მას შინა მყოფნი ბრძანი და კოჭლნი და განკურნა იგინი.
- და ვითარცა იხილეს მღვდელთმთავრებმა და მწიგნობრებმა სასწაულნი, რომელნიც მოახდინა და ყრბანი რომელნიც ტაძარსა შინა დაღებდნენ და იძახდნენ: ოსანა ძესა დავითისასა, — გაბრაზდნენ
- და უთხრეს მას: გესმის ესენი რას ამბობენ? ხოლო იესომ უთხრა მათ: დიას! არსად არ აღმოგიკითხავთ, რამეთუ ყრმათა და მეძუძური ბავშვების პირით დაამტკიცე დიდება?
- და მიატოვა ისინი და განვიდა ქალაქ გარეთ ბეთანიში და ღამე გაათია იქ.
- და განთიადისას, როცა ქალაქში ბრუნდებოდა, მოშივდა.
- და გზასა ზედა დაინახა ერთი ლეღვის ხე და მივიდა და ვერაფერი იპოვა ზედ გარდა ფოთლებისა. და უთხრა მას: ნუღარასოდეს მოგსწამოდეს შენი ნაყოფი უკუნისამდე. და განხმა ლეღვი იგი მეყვსეულად.
- ვითარცა იხილეს მისმა მოწაფეებმა, გაუკვირდათ და თქვეს: ვითარ მეყვსეულად განხმა ლეღვი ესე?
- მიუგო იესომ და უთხრა მათ: ჰქმნა რაიმე გეუბნებით თქვენ: უკეთუ გქონდეთ სარწმუნოება და არა შეეჭვდეთ, არა მხოლოდ იმას გააკეთებთ რაიცა ამ ლეღვს დაემართა, არამედ უკეთუ უთხრათ მთასა ამას: აღიფხვებ აქედან და შთავარდი ზღვაში, — იყოს ეგრე.
- და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, მიიღებთ.
- და ვითარცა შევიდა იგი ტაძარში, მივიდნენ მასთან მღვდელთმთავარი და უხუცესნი ერისანი რაჟამს ჰპოვებოდა ხალხს და უთხრეს მას: რომლითა ხელმწიფებითა იქმ ამას? და ვინ მოგცა შენი ხელმწიფება ესე?
- მიუგო იესომ და უთხრა მათ: მეც გკითხავთ თქვენ სიტყვასა ერთსა, და უკეთუ მითხრათ, მეც გითხრათ თქვენ, თუ რომლითა ხელმწიფებითა ვაკეთებ ამას.
- ნათლისცემი იოანესი საიდან იყო, ზეციდან თუ კაცთაგან? ხოლო ისინი ერთმანეთში ბჭობდნენ და ამბობდნენ: უკეთუ ვთქვათ: ზეციდან იყო, გვეტყვის: მაშ რასათვის აღარ ერწმუნეთო მას?
- და უკეთუ ვთქვათ: კაცთაგან, საშიშია ჩვენთვის ხალხისაგან, რამეთუ ყველა აღიარებს იოანეს, ვითარცა წინასწარმეტყველსა.
- და მიუგეს იესოს და უთხრეს: არა ვუწყით. უთხრა მათ იმანაც: არცა მე გითხრათ თქვენ, რომლითა ხელმწიფებითა ვაკეთებ ამას.
- აბა, როგორ გავიგებთ თქვენ? ვინმე კაცსა ჰყავდა ორი ვაჟი. მივიდა პირველთან და უთხრა მას: შვილო, წადი და იმუშავე ვენახსა ჩემსა.
- ხოლო მან მიუგო და უთხრა: არ მინდა.

- ბოლოს კი იხანა და წავიდა.
- და მივიდა მეორესთან და იგივე უთხრა, ხოლო მან მიუგო და უთხრა: წავალ, ბატონო, და არ წავიდა.
- რომელმაც ორთა ამბოვანმა ჰყო ნება იმამისა თვისისა? უთხრეს მას: იმ პირველმა. უთხრა მათ იესომ: ჰქმნა რაიმე გეუბნებით თქვენ, რამეთუ მეზვერენი და მეძავნი შეგიძღვებიან თქვენ სასუფეველსა ღმრთისასა.
- რამეთუ მოვიდა თქვენდა იოანე გზითა სიმართლისათა, და არა ერწმუნეთ მას, ხოლო მეზვერენი და მეძავნი ერწმუნენ. ხოლო თქვენ იხილეთ და მიხედეთ არ შეინანიეთ შემდეგაც, რათა გრწმუნოდით მისი.
- სხვაი იგავი მოსმინეთ: იყო კაცი ვინმე სახლისა უფალი, რომელმან გააშენა ვენახი, და გარს ზღუდე შემოავლო, და ამოჰკვეთა შიგნით საწნახელი, და აღაშენა კომო, და ჩააბარა მუშებს სამუშაოდ და წარვიდა.
- და რაჟამს მოიწია ჟამი რთველისა, ვაგაზავნა მსახურნი თვისნი ვენახის მუშებთან მო-

- ხვეთ წვიანთა შინა: ლოდი, რომელიც დაიწუნეს მაშინებლებმა, იგი იქცა კედლის ქვაკუთხედად. უფლისა მიერ იყო ესე და საკვირველ არს წინაშე თვალთა ჩვენთა.
- ამისთვის გეუბნებით თქვენ, რამეთუ წარგერთვით სასუფეველი ღმრთისაი და მიეცეს ხალხსა, რომელნი გამოიღებენ ნაყოფსა მისსა.
- და რომელიც დაეცეს ლოდსა მას ზედა, დაილეწოს. და რომელსაც ზემოდან დაეცეს, განისრისოს.
- და ესამათ რა მღვდელთმთავართა და ფარისევლთა იგავნი ესე მისი, მიხედნენ რამეთუ მათზე ამბობდა ამას.
- და ესწრაფოდნენ შესაპყრობად მისა, მაგრამ ეშინოდათ ხალხის, რამეთუ ვითარცა წინასწარმეტყველად აღიარებდნენ მას.

თავი 22

- და კვლავ იგავით მიუგო იესომ და უთხრა:
- მსგავსი არს სასუფეველი ღმრთისაი კაცისა მეფისა, რომელმან გადაიხადა ქორწილი ძი-



- სავლის მისაღებად.
- და შეიპყრეს მსახურნი მისი ვენახის მუშებმა, ზოგნი სცემეს, ზოგნი დახოცეს და ზოგნიც ქვით ჩაქოლეს.
- კვლავ წარავლინა სხვანი მსახურნი პირველზე უფრო მეტნი, და მათაც იგივე გაუკეთეს.
- ხოლო ბოლოს, თვისი ძე მიუფლანა მათ და თქვა: ჩემი ძის მიხედვით შეიტყუებათო.
- ხოლო ვენახის მუშებმა, ვითარცა იხილეს ძე იგი მისი, თქვეს გულსა შინა: ესე არს მემკვიდრე, მოდი და მოვკლათ იგი და ჩავივლოთ სამკვიდრებელი მისი.
- და შეიპყრეს იგი და გაიყვანეს ვენახის გარეთ და მოკლეს.
- და რაჟამს მივიდეს პატრონი ვენახისა, რა უნდა უყოს ამ მიწის მოქმედთ?
- უთხრეს მას: ბოროტნი იგი ბოროტად დახოცონ და ვენახი იგი გადასცეს სხვა მიწის მოქმედთ, რომელნიც თავის ღრობზე მისცემენ მოსავალს.
- უთხრა მათ იესომ: არსად არ ამოგიკით-

- სათვის თვისისა.
- და წარავლინა მსახურნი თვისნი წვეულთა დასაპატიებლად ქორწილში, მაგრამ არ ინებეს მისვლა.
- კვლავ წარავლინა სხვანი მსახურნი და უთხრა: გადაეცით მოწვეულთ: აჰა, ესერა, სუფრა გამოიზადებია, დამიკლავს ხარნი და ნასუჭი საქონელი და ყველაფერი მზად არის და გვეწვიეთ ქორწილში.
- ხოლო მათ დაიზარეს და წავიდნენ ზოგი ყანასა თვისსა, ზოგი საფაროსა თვისსა.
- ხოლო სხვებმა შეიპყრეს მსახურნი მისნი, შეურაცხვეს და დახოცეს.
- ესმა რაი ესე მეფესა, განისხნა და წარგზავნა თავისი მეომრები და ამოაუღებინა კაცის-მკვლელი იგინი და ქალაქი მათი გადააწვევინა ცეცხლით.
- მაშინ უთხრა მსახურთა თვისთა: ქორწილი ესე მზად კია, მაგრამ მოწვეულნი იგინი არა ღირს იყვნენ.

- წარვედით გზათაგასაყარზე და ვინც არ უნდა ნახოთ, მოიწვიეთ ქორწილსა ამას.
- და განვიდნენ მსახურნი მისნი გზათა ზედა და შეპყრიბეს ყოველი ვინც კი შემოხვდათ ბოროტი თუ კეთილი, და გაიგოს ქორწილი იგი მეინახებთ.
- ხოლო როდესაც შევიდა მეფე იგი მეინახეთა სანახავად, იხილა იქ კაცი, რომელსაც არ ემოსა სამოსელი საქორწილო.
- და უთხრა მას: მოყვასო, როგორ შემოხვედი აქ, რამეთუ არა გემოსეს სამოსელი საქორწილო? ხოლო იგი დუმდა.
- მაშინ უთხრა მეფემან მსახურთა თვისთა: გაუკარით მაგას ხელ-ფეხნი და განადგეთ ეგებნელსა მას გარესკენელსა. იქ იყოს ტირილი და ღრჭენი კბილთა.
- რამეთუ ბევრნი არიან წვეულნი და რჩეულნი ცოტანი.
- მაშინ წარვიდნენ ფარისევლნი და მოლაპარაკეს, რათა როგორ დაიჭირონ სიტყვაში იგი.
- და მიუგზავნეს თავიანთი მოწაფეები ჰეროდინელებთან ერთად და უთხრეს: მოძღვარო! ვიცით, რამეთუ სამართლიანი ხარ და გზასა ღმრთისასა ჰქმნა რაიმე დასწავლი და არავის ერიდები, რამეთუ არავის სახეს არ უყურებ.
- აბა, გვითხარ ჩვენ: როგორ გგონია, ჯერ არს გადახდა ხარკისა კეისრისა, თუ არა?
- გულისხმა-ჰყო იესომ უკეთუტრები მათი და უთხრა: რას მცდით მე მზაკვარნი?
- მაჩვენეთ ფული იგი ხარკისა. ხოლო მათ მიუტანეს დინარი.
- და უთხრა მათ იესომ: ვისია ეს სახე და წარწერა?
- უთხრეს მას: კეისრისა! მაშინ უთხრა მათ იესომ: მიეცით კეისრისა კეისრისა და ღმრთისაი ღმერთსა.
- და გაიგეს რაი ესე, გაუკვირდათ და მიატოვეს და წავიდნენ.
- მას დღესა შინა მოვიდნენ მასთან სადღუკველნი, რომელნიც ამბობდნენ, რომ აღდგომა არ არისო და ჰკითხეს მას:
- მოძღვარო! მოსემ თქვა ასე: უკეთუ ვინმე მოკვდეს და არა ჰყავდეს შვილი, ძმამან მისმან შეირთოს მისი ცოლი და აღუდგინოს თესლი ძმასა თვისსა.
- ჩვენს შორის იყვენ შეიძინ ძმანი, და პირველმან შეირთო ცოლი და მოკვდა. არ დარჩა შვილი და ცოლი თვისი დაუტოვა ძმასა თვისსა.
- ასევე მეორემან და მესამემან ვიდრე მეშვიდემდე.
- ხოლო ყველაზე ბოლოს ის დედაკაციც მოკვდა.
- აჲ, აღდგომასა მას იმ შეიძთაგანდინ ვისი ცოლი იქნება, რამეთუ ყველას ჰყავდა იგი?
- მიუგო იესომ და უთხრა მათ: სცდებით, რამეთუ არ იცით წერილნი და არც ძალი ღმრთისაი.
- რამეთუ აღდგომასა მას აღარც ქორწინდებიან და აღარც განქორწინდებიან, რამეთუ ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი იქნებიან ცათა შინა.
- ხოლო მკვდართა აღდგომაზე არ ამოგიკითხავთ თქმული იგი ღმრთისა მიერ, რომელიც ამბობს:
- მე ვარ ღმერთი აბრაამისა და ღმერთი ისაკისა და ღმერთი იაკობისა? არა არს ღმერთი მკვდართა, არამედ ცოცხალთაი.
- და ესმოდა რაი ესე ხალხს, უკვირდათ მოძღვრებაი იგი მისი.
- ხოლო ფარისევლებმა გაიგეს რა, რომ გააჩუმა სადღუკველები, შეიკრიბნენ ერთად.
- და ერთმა მათგანმა სჯულის მოძღვარმა გამოსაცდელად ჰკითხა:
- მოძღვარო! რომელი მცნება არის ყველაზე მთავარი რჯულსა შინა?
- ხოლო იესომ უთხრა მას: შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოველითა გულითა შენითა და ყოველითა სულითა შენითა და ყოველითა გონებითა შენითა.
- ეს არის ყველაზე მთავარი და უპირველესი მცნება.
- და მეორე მსგავსი ამისი: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.
- ამ ორ მცნებაზე არიან დამყარებული მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი.
- მოგროვოლ იყვენ რა ფარისევლნი იგი, ჰკითხა მათ იესომ
- და უთხრა: რას ფიქრობთ თქვენ ქრისტეზე? ვისი ძე არის? ხოლო მათ უთხრეს: დავითისა.
- უთხრა მათ იესომ: აბა როგორღა უწოდებს სულსაგან დავითი უფალს და ამბობს:
- უთხრა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯექ მარგვენით ჩემსა, ვიდრე განვართხამდე მტერთა შენთა ქვეშე ვერცხთა შენთა?
- უკეთუ დავითი სულსაგან უფლად მიმართავს, ძე მისი როგორღა?
- და ვერავინ ვერ შესძლო პასუხის გაცემა მისთვის, და იმ დღიდან აღარც აღარავინ აღარას შეპყიბებია მას.

გაგრძელება იქნება

- ფულის დამხურადგებლები.
- „ოსანა“ — აღიშის ოთხთავით — „დიდება“.

როგორ გეკადრებთ, ამერიკელები არც იცნობდნენ მამულა.

- ვერ დავიჯერებ!

- რა ვიცი... ეგ კურატორი იყო ძალიან სტრუქტურების. ისე ფრთხილად, ისე ფაქიზად აკეთებდა ყველაფერს, რომ იქით გახედვით არ მჭირდებოდა.

- იქნებ ამიტომაც მოიშორეს „ფრთხილად“ და „ფაქიზად“? ერთი წლის შემდეგ „რევოლუციამ მზადება მთელი ფრონტი დაიწყო“. ცოცხალი რომ ყოფილიყო, ხომ გეტყვოდა?

- ?!

- ბატონო ედუარდ, ბატონი მიხეილის მეუღლემ, მართლაც ნიჭიერმა ქალბატონმა წიგნი გამოცა - „იდეალისტის ნაამბობი“. იქ წერია, რომ სააკაშვილი თანამშრომლობდა „ამერიკის ხმასთან“ და მან 1995 წლის ზაფხულში უკვე იცოდა, რომ მწვერვალზე უნდა დაეხურა. რა გამოდის? ის 1995 წლიდან, თქვენი ხელშეწყობით, პრეზიდენტობისთვის ემზადებოდა?

- არ ვიცი, „ამერიკის ხმაში“ თუ მუშაობდა. საერთოდ, არ ვიცი მისი წარსული.

- მაშინ რატომ უჭერდით მხარს? განა სააკაშვილზე არ თქვით: „აი, თქვენი დეპუტატი“, „აი, თქვენი მომავალი პრეზიდენტი“ და ამისათვის ყველაფერს აკეთებდით.

- მაშინ მიზანმიმართულად ვიყავი. ჩემს გარეშე ვერაფერს გააკეთებდა. ხელს ვუწყობდი. თუმცა, თვითონ ძალიან აქტიურად.

- რა მიგაჩნიათ მიხეილ სააკაშვილის ყველაზე საუკეთესო თვისებად?

- როგორ გითხრათ, ნიჭიერი კაცია.

- აბა, უნიჭო ვერ განდებოდა პრეზიდენტი.

- ახლა, ეს სხვა ამბავია. **შინჯონი შინჯონი და ადმინისტრაციის (I),** მაგრამ უდავოდ ნიჭიერი კაცია, სწრაფად ითვისებს. დანაზრჩენი არ მინდა, ვთქვა. მის ნაკლოვანებებს ყველა ხედავს, ჩემი თქმა რა საჭიროა?

- თქვენ გინდოდათ, პრეზიდენტი ზურაბ ჟვანია ყოფილიყო?

- არა. მე ვთქვი, ჟვანიას იმედი მქონდა-მეთქი.

- ვინ გინდოდათ პრეზიდენტად, თუ თქვენი საპრეზიდენტო ვადა მშვიდობიანად ჩათავსდებოდა?

- ისე განვითარდა მოვლენები, რომ მიმას გარდა სხვა გამოსავალი არ იყო.

- არა, „გამოსავალად“...

- მაშინ, ალბათ, ჟვანია. წელიწადი და 4 თვე რომ გასულიყო მშვიდობიანად და სხვა არაფერი ყოფილიყო.

ახლა ამას ნუ დაწერთ, მაგრამ ვფიქრობდი, ჩემთვის ძალიან პატივსაცემად აღმდგომი (სასახელებს, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო მის გვარს და სახელს ჩემი ნებით არ ვწერ. - მ.ბ.).

- სხვებს ვაქანტურია ეგონათ.

- ნავთობის გია? არა, ის ამის კაცი არ იყო. იმაზე კი სერიოზულად ვფიქრობდი. ყველაფერი ჰქონდა საამისოდ. მართლა კარგი იქნებოდა. დალაგებული, ჰკვიანი, ზომიერი... განათლებული.

- გეთანხმებით, არაჩვეულებრივი ადამიანია.

- შესანიშნავი. გული მწყდება.

- ბატონო ედუარდ, ქალბატონი ნინო უცებ გამოჩნდა პოლიტიკურ სარბიელზე. ის უდავოდ ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ მაშინ შესაძლებლობების გარეშე კარგი სტარტი ექნებოდა?

- არ ვიცი. ვერ გეტყვი, რა მნიშვნელობა ჰქონდა ფულს.

- სიაში კარგი ნაცნობობისა და ფულის გარეშე ვერავინ მოხვდებოდა.

- ვერ გეტყვით... მაგ ამბებში გარკვეული არა ვარ. ზურაბ ჟვანიას უნდოდა ძალიან. ჩემი ინიციატივა არ იყო. ჩემთან მოჰქონდათ სიბი. ზოგს ვეთანხმებოდი, ზოგს - არა.

- თქვენ რევოლუციის შემდეგ თავისუფლად ამბობთ,

მიშა, ზურაბი... ნინოს გვერდს უყვით. ამბობთ, იმას... იმ ქალს... რატომ, ნინოზე ნაწყენი ხართ?

- ნაწყენი? შეიძლება დღეს ვიყო, ხვალ არა... ასეთი კაცი ვარ.

- არ მჭერა, ბატონო, და რა გვინა? ამბობენ, ედუარდ შეგვარდნაძეს მეოთხე კლასში რომ აწყენინეს, ის ახსოვსო.

- არა... ნუ. შეიძლება მასსოვდა, მაგრამ რეაქცია არ მიმიცია.

- ნინოს ქმედებას ელოდით?

- არ ველოდი. ახალგაზრდების ჩვეულებრივი მიტინგზე. ბოლო დღეები იყო. დილით მივედი. ნინო იყო იქ. თურმე, პარლამენტში ათევედა დამეგებს და გამოვიდა. ბავშვებს მოსმენა არ სურდათ. ყვიროდნენ, „გადადექი“, „გადადექი“. ნინოს მოსწონდა ეს, მე მეწყინა...

- თქვენ თვლით, რომ ნინო გილოცა?

- ლალატი? ნინოს თავისი პრობლემები და თავისი ამოცანები, მიზნები ჰქონდა. არც ერთს, არც მეორეს და არც მესამეს არ ვადანაშაულებ.

- თქვენ მშვიდი იყავით. არჩევნების წინ არაფერი გააკეთეთ გაღიზიანებული ხალხის დასამშვიდებლად. არც ბენსიები დაარბიეთ, არც ნელფასები. თავი არ „მოვიკლავთ“ საარჩევნო კამპანიით. შინაგანი, შიდა მიმდინარეობები გათვლილი იყო ხალხის კიდევ უფრო გასაბრაზებლად.

- ?!

- მეორე. ბრძანეთ, რომ 22 ნოემბერს ვანტანგ რჩეულიშვილი და ირინა სარიშვილი ისე წავიდნენ ბათუმში, რომ არ გაითხეს და ამიტომ არ იყო კვორუმი. არ მჭერა მათი „სიჩიუტის“. მესამე - დილით თქვენ 3-ჯერ მოგანსენეს, რომ კვორუმი იყო მათ გარეშე. ამ ფაქტებს სად წაუხვალთ?

- ესლაც არ მახსოვს, როგორ წავიდნენ...

- კარგი, რა, ბატონო ედუარდ, თქვენი სიმართლე.

- არა, კაცო, რა მაქვს დასამალი.

- 22 ნოემბერს პარლამენტის პირველი სხდომიდან თავისი ნებით არ წავიდოდნენ ბათუმში.

- რატომ ვერ წავიდოდნენ?

- ვერ წავიდოდნენ.

- ?! იცი, წავიდნენ იმიტომ, რომ ჩამოასწრებდნენ მერე(?!).



ალსარება

„მეგობარი“ იქ იყო. დაზვერვის, უშიშროებისა და სხვა სტრუქტურების შეფები... ფაქტია, რომ გადააბარეთ!

- არა, რატომ?

- აბა, როგორ, „ჩუქება“, თანაც ხელისუფლების, რა არის?

- ?! (ფიქრობს) მაშინ რატომ შეგავსებდით? მე ხომ ვთქვი, რომ ეს იყო გადატრიალება?

- აბა „ჩუქება“ რაღა შუაშია?

- ფორმა იყო ვადატრიალების. ეს ჩემთვის მძიმე იყო.

- თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ დღეს უკანონო ხელისუფლებაა?

- ააა...

- იურიდიულად შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს არის უკანონო?

- ესლაც აღარ არის უკანონო, არა? ხომ აირჩიეს?

- გადატრიალების გზით მოსული, დაკანონებული ხელისუფლება?

- ალბათ, ასე... მცდელობა იყო. მათ უნდოდათ, ხელში აეღოთ ძალაუფლება. რა გამეკეთებინა? ძალა გამოემყენებინა? დაიწყებოდა სამოქალაქო ომი. მე რომ არ დამეთმო, ხალხი მე არ მყოლობოდა გვერდით? ჰოდა, ორი მხარე ერთმანეთს ესროდა. კარგი იყო ეს? აქეთ პატარა ბიჭები, იქით ჯარი? წასვლა ჯობდა!

- თქვენთან მოვიდნენ ბატონი მიხეილი და ბატონი

და მერე დაიკანონებს მას არჩევნების გზით.

თუ არ გასურდათ, თქვენს „უბე-კალთაში“ გაზრდილი ბიჭები და ქალბატონი ნინო მემბოზნენ, რევოლუციონერები და გადამდებნი გამხდარიყვნენ, რატომ არ დაწერეთ განცხადება გადადგომის შესახებ? არ გინდოდათ, მათ მოსვლას კანონიერი ხასიათი ჰქონოდა?

- რა კანონიერი?

- ისლევით წახვედით, მაგრამ კანონის გზა რომ გამოჩენილიყო და გადატრიალება არ დაჩქმეოდა...

- არა, არა... რატომ უნდა დამეწერა განცხადება?

- სამართლებრივად გამართული რომ ყოფილიყო თქვენი „სახლში წასვლა“.

- მე ვაგვიკეთე განცხადება. მხოლოდ იმისათვის, რომ სისხლი არ დაღვრილიყო, იმ ბიჭებსაც ვუთხარი, ნინო არ იყო. ჟვანია და სააკაშვილი მოვიდნენ მაშინ, ბოლო შეხვედრაზე. კვირთხე, რა გამოსავალს ხედავთ? რას ფიქრობთ?... ძალიან მორიდებულად იყვნენ...

- გარეთ ათას ბარუნაში გასხენებდნენ, დაცვამ ძლივს გამოგყვანათ...

- კარგი ერთი... ჩემთან ძალიან მორიდებულები იყვნენ... გარეთ? რა ვიცი, შეიძლება სჭირდებოდათ (?!)

ჩავეკითხე, მითხარით, რა გინდათ და ვაგვიკეთებ-თქო. ისევე მორიდებულად მითხრეს: „რა



- კარგი. კვორუმი დილითაც იყო, რატომ არ დაიწყეთ?

- არ იყო კვორუმი... ის მხოლოდ და მხოლოდ 5-ის ნახევარზე შედგა.

იცი, რა მინდა, გითხრა? კვორუმი დასაწყებად საჭიროც არ იყო. სესიის გახსნა მინაც შეიძლებოდა.

- მერე? რატომ არ გახსენით?

- არ ვაგხსენი იმიტომ, რომ ლაპარაკი არ ყოფილიყო, კვორუმი არ არისო(?!). მხოლოდ ამიტომ.

- თუ კანონს იცავდით?

- (?!) კი, ვიცავდით, მაგრამ?

- თქვენ ხომ დაარღვიეთ თანამიმდევრობა?

- არაფერი არ დავარღვიე.

- დაარღვიეთ.

- ჰო, დავარღვიე ის, რომ ადრე უნდა დამეწყო და გვიან დავიწყე.

- არა, არა. მაგის გარდა. არჩევნების შედეგების უფლებამოსილება უნდა ეცნოთ და მერე მომხდარიყო თქვენი გამოსვლა.

- არა, დავგეგმილი ასე იყო. მერე უნდა მომხდარიყო ყველაფერი.

- რევოლუცია?

- ?!

- ბატონო ედუარდ, ვიდეოკადრები ცოტა მეტ ინფორმაციას იძლევა. არ ვიცი, ასე ჩანს, არ ვიცი, ინერციაა, თქვენ კითხულობთ და „ქვე-

მოდან“ იყურებით კარებისა-კენ. რატომ? იგვიანებდნენ?

- არ ვიყურებოდი კარებისაკენ. რა, ვიყურებოდი?

- ელოდით?

- ჩემი ჩვეულება ასეთია. არ ჩავიცინებ ქალაქებს, მითუფრო, პატარა გამოსვლა იყო, თითქმის ნებირად ვიციოდი...

- ვის რას უკითხავდით? არჩევნების შედეგები ხომ დამტკიცებული არ იყო? რა კატეგორიის ხალხი იქნა იქ?

- არჩევნების შემდეგ მოსული... ვითხულობდი. ხან თავს ავწვევდი, ხან ჩავიხვდავდი. კარებს ვუყურებდი? რა მინდოდა კარებში?

- რა ვიცი, ყველა თქვენს

ზურაბი კრწანისში. რეზიდენციიდან გამოსვლებს ნორმალური სახე არცერთს არ ჰქონდა. რატომ?

- მათ სცენარს არ დაემთხვა იმ ეტაპზე ჩემი გადადგომა(?!)

- გამოდის, რომ რევოლუციის განვითარების სცენარი არსებობდა?

- ?!

- კარგი, ამბობთ, რომ გადატრიალება მოხდა, მაგრამ კანონიერად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან არჩევნები ჩატარდა. ახლაც არის ამის შესაძლებლობა. ვინ, ქვეყნის მოსახლეობა, ვინ, ქვეყნის მოსახლეობა თუ გარეგანი, გადაატრიალებს ხელისუფლებას

ვიცი, ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა პრეზიდენტის გადადგომა, მაგრამ ამას სერიოზულად (?!) როგორ გავიხედოდავთ... ზურაბი ამბობდა ამას. „თქვენი გაზრდილი ვარ, 7 წელი თქვენთან ვმუშაობდი“ და რაღაც ასეთები. მერე მიმამ დაიწყო საუბარი. დიდხანს ვაგრძელებდი. მე და ჯორბენაძე აქეთ ვზივართ, ისინი - იქით. მე ვუთხარი ჯორბენაძეს: „შენ საუბარში ნუ ჩაერვი“...

- დიდხანს რას ნიშნავს, ერთი, ორი საათი?..

- არა, არა, ვაგრძელებდი 20-25 წუთი, მაქსიმუმში. მე ვუთხარი: „ბიჭებო, ტყუილად ვკარგავთ დროს.“ უსტად ასე ვუთხარი, ამ სიტყვებით: „ბიჭებო, ტყუილად ვკარგავთ დროს... თქვენ ლაპარაკობთ გადადგომაზე, მე გადადგომაზე ვადაწვევტილებოდა უკვე წუხელ მივიღე ჩათვლეთ, რომ დღეის შემდეგ პრეზიდენტი აღარ ვარ. ესლაც თუ გავთ ნიჭი, უნარი და შენსადლებლობები, აკეთეთ საქმე“

- კეთილი, რაც უნდოდათ, ის მიიღეს. მაშ, რატომ ჰქონდათ კატასტროფული სახეები? თქვენგან გამოსულნი ვერავინ იტყვოდა, რომ გამარჯვებულები იყვნენ. ეს სახეები მთელმა მოსახლეობამ ნახა. ამას ვერავინ უარყოფს. უცნაური იყო სხვა რამეც; დიდი სტრესის მიუხედავად, თქვენს საოცრად მშვიდი გამომეტყველება გქონდათ. ახუ ეს სახეები (თქვენი და „რევოლუციონერების“) არსებული ვითარების საწინააღმდეგო ემო-

მასან. 20-4 23-24

ცივების გამომწველი იყო. ცხრილი უფროა ზედა და დაბნეულობისაგან ენას ვერ ატრიალებდა. იქნებ სწორედ ზურგის არ უნდა იმ პერიოდში თქვენი გადადგომა და მისი „სცენარი“ იშლებოდა?

- მე მგონი, მაგათ ჰქონდათ სხვა ვარიანტი.

- კონკრეტულად?

- (დიდხანს ფიქრობს) არ ვიცი... შეიძლება 5 თვის შემდეგ უნდა წავსულიყავი (?).

- რატომ 5 თვის შემდეგ? ასე ეწერა სცენარში?

- არ ვიცი, ფაქტია, რომ რადიკალიზაციის ჰქონდათ.

- თქვენთვის არ უთქვამთ?

- არა.

- ერთ სცენარს „გაგიმწელო“... დამიდინებდით ან უარი თქვით... მიხეილ სააკაშვილი თავიდან არ ითხოვდა თქვენს გადადგომას. პატიოსნად თუ ვიტყვით, 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებზე სააკაშვილის ახლად შექმნილმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თქვენი სხვადასხვა სუბიექტური ბლოკი დაამარცხა. ის მართლაც იყო პირველი ადგილზე, „უვანია-ბურჯანაძის დემოკრატები“ 7 პროცენტს ვერ „იბურჯანაძენ“... აი, ამ დროს ჩაერთო „თქვენი სცენარი“. ზურგზე უვანია გარეთ გრჩებოდა...

რეთ, როგორ ვარჯიშობდნენ, როგორი სცენარი იყო, რას გეგმავდნენ, ვინ აფინანსებდა... რა გამოდის? ბოდიში და, ან უშიშროება არ გქავდათ, ან იყავით...

- აღარ ვაგარძელო (?!) ვიყავი ძალიან თვითდაჯერებული.

- თვითდაჯერებული და რადიკალიზაციის (იქნებ, ვაკუუმში) მოქცეული?

- წრე? ვაკუუმში? არა... თვითდაჯერებული!


- რას ნიშნავს თვითდაჯერებული, ვერაფერს მოგეროდით?

- არა, აზრი არ ჰქონდა, რეგულარული მომხდარიყო იქ, სადაც პრეზიდენტს ვადის ამოწურვამდე დარჩა 1 წელი და 4 თვე. ამიტომ ვიყავი თვითდაჯერებული.

- არავინ, მათ შორის, ამერიკამ რატომ არ გაბატონდა და რჩენილი მცირე დრო? რატომ იქ არ აწყო ბენ რეგულაციებს?

- ?! (ფიქრობს).

- ამერიკის მაღალჩინოსნებს რომ ეთქვათ: „ბავშვებო,



არ გეკითხებთ?

- მიმა იყო ნაწილის პანაშვიდზე სომხეთის პრეზიდენტ კოჩარისთან ერთად. მაღლობა გადავუხადე მას ნაწილის კრწანისში, ამ ტერიტორიაზე დაკრძალვის ნებართვისთვის. ისეთი სიტუაცია იყო, სასაფლაოზე სირბილის თავე არ მქონდა. მართლაც, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ნაწილი არსად წასულია. მას შემდეგ არაფერი... რჩევებს არ კითხულობს... ისე, რომ ეკითხა რაღაც-რაღაცებზე, არაფერს წააგებდა (?). მე, მაგალითად, დავეკითხებოდი. ის სხვა ბუნების კაცია. მას მიაჩნია, რომ როგორც ფიქრობს, ისეა მოწყობილი ყველაფერი. აღამი-

- ?!

- ტარიელ ონიანს თუ იცნობთ?

- არა.

- არასოდეს გინახავთ?

- არა. ისე ვიცი, რომ არსებობს ასეთი პიროვნება.

- ესპანეთში რომ ჩატარდა „კრანას“ ოპერაცია, ხელის ჩვენი ხელისუფლებისაგან იშვერდნენ. გაქვთ ინფორმაცია, რა მოხდა სინამდვილეში?

- არავითარი ინფორმაცია არა მაქვს. ისე, ონიანის პრობლემა მაწუხებდა. თითქოს ავიაციამ იყო წილში, მაგრამ მტკიცებები არ მქონდა.

- ახლა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა რაღაც ფონდები შექმნეს და მილიონობით თანხას არიცივინებენ ხალხს. ბევრი ისე „გაგადაა“, რომ ამ ფონდებს საღვთო-სწორი უფლებებიდან ლამის ყოველდღე ურიცხვან მთლიანობით დოლარს. სად უფრო მეტი „კანონიერი ქურდი“ - შიგნით, ზონაში თუ გარეთ - ხელისუფლებაში, ფონდებში?

- შეიძლება არ ღირდეს ამაზე ჩემი პასუხი, მაგრამ საჭიროა. რასაც ახლა აკეთებენ, არ შეიძლება. ვთქვათ, დაიჭირეს. მაგალითად, კაკო ჩხაიძე. თუნდაც, ბანკიტი ყოველიყო, რა გამოვიდა? დაიჭირეს, ფული გადახდევინეს და გამოუმგეს. ეს რა არის? სასამართლოს გარეშე? პარტიზანებიც არ აკეთებდნენ ამას. არცერთი ადამიანი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე არ უნდა ისჯებოდეს. კაკო ხომ გამოაკლისი არ არის?

- თქვენც რომ დაიჭირეთ რკინიგზის მაშინდელი უფიქრები გაშაკიეთ?

- მერე? ფული გადაიხდა თუ რა? იქ რაღაც ვაუტერობა იყო. ბევრი (მათ შორის ჩემი ახლობლებიც აწუხებდნენ) რკინიგზელი არ იყო.

- დაჭირდნენ 4 საათში კაკო ჩხაიძემ შეცვალა. მისი კანდიდატურა ვინ მოკცათ?

- ვთქვამთ, ლორთქიფანიძემ, ის აქებდა კაკოს.

- მშენებლობების დატაცების ბუზზე რას იტყვით?

- ესეც დაკანონებული უკანონობაა. ეს არის ანტიკონსტიტუციურობა, ანტიკანონიერი ქმედებები.

- რა ეშველება ამ საქმეებს? მწერალთა კავშირის შენობის გამო პროცესი აქვს უზენაეს სასამართლოში, სახანძროს შენობა გაიყვანა, ნამდვილი მქონელები არ ჩანან. თავისთავი ინტერესების გამო მესაკუთრეს, უპატიოსნეს ქალს, თავის შრომით აშენებული შენობა ბარბაროსულად დაუზარეს, გამომცემლობა „სამშობლოს“ უდიდესი... რომელი ერთი ჩამოვფრთვითა?

- ბევრი დაუფრთვით ასეთი ფაქტები. შეიძლება მათ არაფრად მიანიხილონ ჩემი მოსაზრებები, მაგრამ მაინც ვიტყვი შენებს ხელისუფლების მიმართ. პირველი - უნივერსიტეტი! მეორე - აკადემია! იმასაც ვამბობ, რომ უნივერსიტეტში და აკადემიაში რჩევის საკითხავად მივიდეთ. ერთხელ აკადემიის წევრების წინაშე საარჩევნო პროგრამით წარვდგე. ეს პასუხისმგებლობაც იყო და მათთვის ანგარიშის გაწვევა.

- მწერალთა კავშირზე ლაპარაკი არ შეიძლება. აქ ერის დირექტორი ადამიანების საკრებულო იყო. როგორ შეიძლება მწერალთა კავშირის ხელი ახლო. როგორ შეიძლება, თუნდაც, 100 მილიონი გადაიხადონ! ეს ხომ სიმბოლურია? ქალაქის ცენტრში მწერალთა კავშირი - სიმბოლო ინტელექტუალური ქვეყნისა, ასევე პრესის სახლიც... არა, არ შეიძლება ასეთ სიმბოლოებს ხელი ახლო. არადა, რა ხდება? უცვლელად რომ ყრთან უფრო ნაოსნობა უნდა. ეს ნორმალური ქვეყნის სახე არ არის.

- ირანულად ამბობენ, „კომუნისტს“ შენობაა (?). ...

- ჯერ ერთი, ყოფილი „კომუნისტის“. მეორეც, დღევანდელი პრეზიდენტის სამყოფელიც

იღუარდ შევარდნაძე: მე არს ბრალდება წამიყენებია, არს ფაქტები დამისახელებია. არის სადმე ჩემი გამონათქვამი, რომ ტერაქტი მოწყობილია იმორ ბიორგაჰის მიერ? მე ხომ არ ვიძიებდი საქმეს? მე არასოდეს მითქვამს, რომ ტერაქტი იმორ ბიორგაჰის მიერ არის მოწყობილი...



მუსი გაყიდა, მერე - ქონება.

- იქნებ, ჯერ ნაშუსი გაყიდა და ახლა ქონებას უიღებს?

- თავისას რატომ არ ყიდის? თვითონ დიდი ქონების პატრონი, მილიარდერია. რატომ ჩამოიყვანეს, არ ვიცი.

- თქვენ რატომ არ ჩამოიყვანეთ?

- არც ვიცნობდი. გვარი კი გამეგო. მე რომ მოსკოვში ჩავდიოდი, ყველა ქართველი, რაღაც თანამდებობა ჰქონდა თუ არა, ცდილობდა, მოხვედროდა იქ. ჩვევად მქონდა, დღის ბოლოსთვის საელჩოში ვაწყოდი შეხვედრას. იკრიბებოდა... 100-120 კაცი ესწრებოდა. ინფორმაციას ვუტყუებდი საქართველოზე. ბუნებრივად თვლით არ მინახავს.

- ამბობენ, სპეცსამსახურებთან „კარგად არის“, მრჩეველები განლაგებულნი სტრატეგიულ საკითხებში...

- ?!

- რუსეთში მილიარდერი განდება ქართველი, თუ არ სჭირდება?

- რატომაც არა, მაგრამ ისინი სხვა ხალხია. ამას ჰქონდა, ალბათ, ხელშეწყობა გარკვეული მიზნების გამო.

- ეს გარკვეული მიზანია რა არის?

- ბიზნესში თუ დიდი ფული ექნებოდა და საქართველოს მთავრობაში თავისი კაცი ეყოლებოდა, რატომ იქნებოდა რუსეთში წინააღმდეგ?

- სპეციალურად გამოგზავნის?

- ტყუილებს ვერ ვიტყვი. თავისი ნებთ ჩამოვიდა. გამოგზავნის თუ ამით ჩამოიყვანეს, ეს ვასარკვევი საკითხია, მას სახე-ტყუარ ვიცნობ. ისე, სურათით, ტელევიზიით თუ...

- რამდენადაც ვიცი, რევოლუციის შემდეგ კონტაქტი გაქონდათ ზურაბ ჟვანასთან.

- მართალია. სატელეფონო კავშირიც მქონდა, ხანდახან მოდიოდა კიდევ. ნაწილის ნახულობდა ხოლმე მისი მეუღლეც. თბილი ადამიანები იყვნენ.

- ბატონი მიხეილ სააკაშვილი თუ მოდის? რჩევებს ხომ

ანები სხვადასხვანაირები არიან.

- ბატონო ელუარდ, თქვენ თვითდაჯერებული იყავით და... ამან პრეზიდენტად დაგაკარგვინათ. თვითდაჯერებული არ აკლია პრეზიდენტ სააკაშვილს. ეს საფრთხის შემცველია?

- რომ გითხრათ - არა, დამიჯერებთ?

- თქვენი იცით მთავარი საფრთხე?

- ყველა პრეზიდენტისთვის არის საფრთხეები, „პატარა-პატარა ნაღმები“. არ უნდა, ადგილზე იქნებოდა თამაში არ შეიძლება.

- ბატონო ელუარდ, თქვენ დიდხანს იყავით შინაგან საქმეთა მინისტრი, კომპარტიის ცეკას მდივანი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტი... რამელი „კანონიერი“ ქურდთან გქონდათ „კეთილი“ (?) ურთიერთობა?

- (დიდხანს ფიქრობს)... როგორ არის, იცით? ერთადერთი, თუ „კანონიერი ქურდი“ ჩამოვფრთვითა, რომელიმე წარვდგე, რომელიმე წარვდგე.

- ხელისუფლების დროს თუ მანამდე?

- მანამდე, მაგრამ ხელისუფლების დროსაც...

- შინაგან საქმეთა მინისტრი რომ იყავით?

- მაშინ ნაკლებად. ჯაბა არ ჩანდა მაინცადამაინც.

- როდის გააქტიურდა?

- საგარეო საქმეთა მინისტრობიდან რომ გადავდგე, მერე დაიწყო აქ მოძრაობა. ამის ინიციატორი იყო ბატონი ჯაბა. თუ არ ვცდები, ჯაბა და მისი ერთი მეგობარი ისვენებდნენ ქობულეთში და სწორედ პლაჟზე იყო საუბარი, რა ეშველება საქართველოს.

- გამაკვირვებ. პლაჟზე გადასაქართველოს ბედი?

- არა, კი არ გადაწყდა, ასეთი იყო საუბარი. ერთ-ერთი მილიონი თანამდებობის ამბობდა, თურმე, სხვა გამოსავალი არ არის, შევარდნაზე უნდა ჩამოიყვანოთ (?). ეს ჯაბასგან ვიცი.

- ვინ იყო ის თანამდებობის

გაჩერდით!... ხომ გაჩერდებოდნენ?

- ვერ გაჩერდებოდნენ (?). ამერიკა რა... ამერიკა? თვითონ ბუში ხომ არ ჩაერთო ამ ამბავში. ჩარეული იყო სოროსი და, თუ არ ვცდები, „თავისუფლების ინსტიტუტი“ და ყველა ის ინსტიტუტი, ოლბრაიტი რომა ხელმძღვანელი. ისინი აფინანსებდნენ... სოროსი აფინანსებდა ამ ყველაფერს. ეს მერე გაიკვავა.

- გამოდის, რომ ყველაფერს ხელმძღვანელობდა ქალბატონი მადლენ ოლბრაიტი?

- ყველაფერს არა... რაღაც მართლაც. ყველაფერს ხელმძღვანელობდა სოროსი. ოლბრაიტი მხარს უჭერდა, თუმცა, ის კარგად მიცნობდა დიდი ხნის განმავლობაში.

როცა გამოუცდელი პრეზიდენტი ქვეყნის მართვას იწყებდა. ის ხომ სულ ერთი წელი იყო ხელისუფლებაში? 22 დეკემბერს პირველი ტყვია გაგარდა... 1992 წლის 6 იანვარს დევნილი ვახდა...

თქვენც ხომ არ ვაკუუმით დინების წინააღმდეგ და აღარ დაგაცალეს?

- არა, არა. ადმინისტრაციასთან რა საქმე მაქვს? წოწში მოტანილი მაქვს პრეზიდენტ ბუშის წერილი. მეუხერხულედა კიდევ იმ სიტყვების გამოერთება. ლამის მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეული ისტორიის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედელი მე ვარ... გერმანიის გაერთიანება, აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლება, საბჭოთა კავშირის დემოკრატიზაცია, დამოუკიდებელი საქართველო, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა და სხვა.

- კარგი, არ ვაგვიცურავთ დინების საწინააღმდეგოდ, მაგრამ ისიც არ იცით, დინებას რომ წაჰყვით, სად მიხვედით?

- ?!

- კეთილი, ვთქვით, ვინ რა კაცია?

- ვთქვით.

- ბუნდუქიძეს უთქვენ პარლამენტიდან და, უბირველესად, „თავისუფლების ინსტიტუტში“ დავით ზურაბიშვილი ოპოზიციონერებთან ერთად. რა კაცია, ვინ არის? თუ ძლიერი იყო, თქვენ რატომ არ მოიწვიეთ?

- უთქვამს, ყველაფერი უნდა გაიყიდოს, ნამუსის გარდა. ასეთ პირობებში ჯობია, ავღ

ჩანართი №1

არსებობს ინფორმაცია, რომ ელუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს კანცელარიის მთავარი იყო სოროსი და მისი „მეგობრები“ ვის რა თანხებს ურიცხავდნენ. ეს სია გადაეცა თ. ანდროიძეს (ახალ სახელმწიფო მინისტრს). ეს ინფორმაციები „დაიბლოკა“ (?).

ჩანართი №2

მამა ბუშმა (ყოფილმა პრეზიდენტმა, ამერიკის დაზვერვის უფროსმა შედმა) მსოფლიოს სახელმწიფოებს დაუწვავდა: „დინების წინააღმდეგ მცურავს ვამსახურდით“, და ეს მამა, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა თვეებს ითვლიდა,

ნამდვილად, დაგვირით?

- ნამდვილად, ნამდვილად... რა მაქვს დასამალი, კაცო...

- რაღაცას მალავთ. თქვენ თუ არა, მე მინდა, ვიყო გულწრფელი (ხუ მტყუთი, თუ არ გჯერა, გაიარა), მაგრამ არ მჯერა, რომ ელუარდ შევარდნაძემ არ იცოდა და „გამოეპარა“, ბავშვები (კმარაღები), როგორ ემზადებოდნენ იუოსლავის მაგალითებზე საზღვარგა-

გაჩერდით!... ხომ გაჩერდებოდნენ?

- ვერ გაჩერდებოდნენ (?). ამერიკა რა... ამერიკა? თვითონ ბუში ხომ არ ჩაერთო ამ ამბავში. ჩარეული იყო სოროსი და, თუ არ ვცდები, „თავისუფლების ინსტიტუტი“ და ყველა ის ინსტიტუტი, ოლბრაიტი რომა ხელმძღვანელი. ისინი აფინანსებდნენ... სოროსი აფინანსებდა ამ ყველაფერს. ეს მერე გაიკვავა.

- გამოდის, რომ ყველაფერს ხელმძღვანელობდა ქალბატონი მადლენ ოლბრაიტი?

- ყველაფერს არა... რაღაც მართლაც. ყველაფერს ხელმძღვანელობდა სოროსი. ოლბრაიტი მხარს უჭერდა, თუმცა, ის კარგად მიცნობდა დიდი ხნის განმავლობაში.

ჩანართი №3

მამა ბუშმა (ყოფილმა პრეზიდენტმა, ამერიკის დაზვერვის უფროსმა შედმა) მსოფლიოს სახელმწიფოებს დაუწვავდა: „დინების წინააღმდეგ მცურავს ვამსახურდით“, და ეს მამა, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა თვეებს ითვლიდა,

ჩანართი №4

მამა ბუშმა (ყოფილმა პრეზიდენტმა, ამერიკის დაზვერვის უფროსმა შედმა) მსოფლიოს სახელმწიფოებს დაუწვავდა: „დინების წინააღმდეგ მცურავს ვამსახურდით“, და ეს მამა, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა თვეებს ითვლიდა,

ჩანართი №5

მამა ბუშმა (ყოფილმა პრეზიდენტმა, ამერიკის დაზვერვის უფროსმა შედმა) მსოფლიოს სახელმწიფოებს დაუწვავდა: „დინების წინააღმდეგ მცურავს ვამსახურდით“, და ეს მამა, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა თვეებს ითვლიდა,

გვიტარა კიდევ 80 და ბოლოს კამპანაში - თქვენ მეგრული აუცილებლად უნდა გასწავლოთ. ამ პერიოდში ჩვენი ყოველი და განწყობა იყო მძიმე, თუმცა, უიმედოდ არ ვიყავით.

რამდენიმე დღეში ჩვენთან ამოვიღეთ მეომრები ბატონი ზარანდის ბანაკიდან და პრემი-დენტს მოახსენეს, - არაფერია საშინო, მოკლე დროში პარტი-ზანულ მოძრაობას ვიწყებთ წაღწევისაში, ჯვარში, ზუგდიდსა და ჩხოროწყულში.

ბატონი ზარანი აფრთხილებდა: იმოქმედეთ ჭკუით, ყველაფრის გათვალისწინებით და სისულელეები არ ჩაიდინოთ.

ორი დღის შემდეგ პრემი-დენტს მუშავას ხეობაში, ზარანდისთან დატოვებული მათხა შინაბრუნული და ინტალი ბოზაში მოიკითხა. სურდა, მათთან შეეტყო ინფორმაციები. ბატონმა ზარანდმა ბოზა კამპანაში გააგზავნა მათ მოსაყვანად. იქ ჩასულ ბოზას ზარანდისთან უთხრა, - ცხენებზე შესხდნენ და ზემარდნაში მოსაკლავად წავიდნენო. იქიდან ბოზასთან ერთად ამოვიდა „პრემი-დენტი“. ბანაკიდან ამოსულმა „პრემი-დენტი“ გვიტარა, მათხა და ინტალი ცხენებით გააცივლეს სენაკამდე, საიდანაც ზარანი ინტალით აპირებდნენ

ვამი, ერთ-ერთი გლეხის, ბრმა ბატონის ოჯახში. ჩვენი შესვლისთანავე ოჯახის უფროსმა უთხრა პრემი-დენტს, - 20 წელია, ვერ ვხედავ და თქვენ დაგინახეთ, ბატონი ზარანი არ ხართ? ხელზე ხელი მოკიდა და თქვა: - კი, ზარანი ხარ, ბანაკში-ღარა. ხელის ჩამორთმევით იცნო კაცმა, რომელიც პირველად შეხვდა პრემი-დენტს. ამის ჩვენზე ძალიან იმოქმედა. სიტყვებით ძნელია ამის გადმოცემა. ამ ბრმა კაცის სახლში ორი დღე დავყავით. ძლიერ თოვდა. აქ მოულოდნელად მოვიდა ბატონი ზარანდის, „პრემი-დენტი“ და შინაგანი ჯარის ერთი წარმომადგენელი. მათ უთხრეს პრემი-დენტს, რომ მისი აქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა, ვინაიდან ადგილსამყოფელის შესახებ იცოდნენ და დაიჭურდნენ. კარგა ხნის ლაპარაკის შედეგად გადაწყდა, რომ ბატონი ზარანდის ჩვენს თავს გადააბარებდა მათხა ზარანდის - ჯინაშკარის ბატალიონის უფროსს. ბატონი ზარანდისგან და მდინარე ენგურამდე, შემდეგ ენგურზე გადავიდოდით ენგურზე გადავებული მილით, სადაც დაგვხვდებოდა მათხა ზარანდის მანქანით და სოფელ ჯინაშკარაში გადაგვიყვანდა (მთიდან ქვედა ზონაში უნდა ჩასულიყავით). ამის მე-

ხით მივყავით. აქ ვიყავით ზარანი ბრმა ზარანდის, ბოზა კამპანაში, ბატონი ზარანდის, ზარანი ბანაკში, ზარანი ბოზაში და ანორ მებონია. მივედით ჯალაში. აქ დავყავით 8-10 დღე. ბატონი ზარანი აქ განმარტობას არ უჩიოდა, ეგ იყო, საქმეებს თითქმის არ ჰამდა და ძალიან გახდა. პრემი-დენტი წუნდა, სახლის ბატონს ვაწუნებოთ. ანორ მებონია მუდღეს-თან ერთად ცხოვრობდა. აქ ყოფნის დროს, რომელი დღე იყო, ზუსტად არ მახსოვს, მებონია მოიყვანა მათხა ზარანდის, რომელიც არ დაგვხვდა ენგურის ნაპირას. მათხა ზარანდის არმოსვლის მიზეზი. გვიტარა, - მეორე მხარეს „მხედრონი“ იღვდა შესაძლო იყო, აყვანეთო.

აქ ჩვენ შევიტყვევით, რომ ბრმა ზარანდის კიბიდან ბატონი ზარანდისს გაუბარებდა. ბატონი, ნდის ჩვენს თავს გადააბარებდა მათხა ზარანდის - ჯინაშკარის ბატალიონის უფროსს. ბატონი ზარანდისგან და მდინარე ენგურამდე, შემდეგ ენგურზე გადავიდოდით ენგურზე გადავებული მილით, სადაც დაგვხვდებოდა მათხა ზარანდის მანქანით და სოფელ ჯინაშკარაში გადაგვიყვანდა (მთიდან ქვედა ზონაში უნდა ჩასულიყავით). ამის მე-

ვის უნდა მოეწალო, მაგრამ პრემი-დენტს ამის პასუხად ავიხსენა, რომ არსებობს მრავალი სახის საწამლედი, რომელიც თავის მოქმედებას ადგილობრივი პერიოდის შემდეგ.

25 დეკემბერს ჩვენთან მოვიდა (ჯონსონ კამპანაში) ბრმა ზარანდის სახლში ბრმა ზარანდისი. პრემი-დენტს მოახსენა, რომ მისი ნახვა უნდა დაელოდა ბრმა ზარანდისს. „გროზნოდან არის ჩამოსული ვიღაც და პრემი-დენტს რაღაცა უნდა გადასცემო“. ბატონმა ზარანდისმა ბრმა ზარანდისს დააბარა, რომ სასწრაფოდ მასთან მიეყვანა ბრმა ზარანდისი. ამ ხნის განმავლობაში, რაც ბრმა ზარანდისი იმედს არ კარგავდა, რომ ბრმა ზარანდისი გამოჩნდებოდა. ამიტომ პრემი-დენტს გაუხარდა ბრმა ზარანდისის სხეულები. იცოდა, რომ მათხა ზარანდისს დაახლოებული პირი იყო. ბრმა ზარანდისი წავიდა და მოვიდა მეორე საღამოს ბრმა ზარანდისს გარეშე მბრალით. ბრმა ზარანდისი წავიდა და მოვიდა მეორე საღამოს ბრმა ზარანდისს გარეშე მბრალით. ბრმა ზარანდისი წავიდა და მოვიდა მეორე საღამოს ბრმა ზარანდისს გარეშე მბრალით.

ბი. საჭირო იყო ექიმი, მაგრამ ეს მაშინ შეუძლებელი იყო, ვის ენდობოდი ან ვის მოიყვანდი, როცა საფუძვლად ვისაი-ღმლოდით ადგილობრივი პერიოდის ბოლი რომ არ ამოსულიყო. ანორ მებონია შესთავაზა პრემი-დენტს სხვა ადგილზე, მისი თქმით, საიმიდო აღვიღებოთ და ადგილობრივი პერიოდის ბოლი რომ არ ამოსულიყო. ანორ მებონია შესთავაზა პრემი-დენტს სხვა ადგილზე, მისი თქმით, საიმიდო აღვიღებოთ და ადგილობრივი პერიოდის ბოლი რომ არ ამოსულიყო.

წარმოსადგენი არაა, რა დღეში ჩავვარდნობოდი. ხმაილა ველოდი ყველა, ამის გახსენებაც არ მინდა. გვიტარა 1-2 კილომეტრი და მივედი სოფელ ხიბულაში, ვინმე ბატონი ლურჯაშვილის ოჯახში, სადაც პრემი-დენტი გარდაიცვალა.

საშინელება დავხვდეთ. გაუბედურებული და თავზარდაცემული ვიყავით ყველა. რა გვექნა - გავვემუდავებინა პრემი-დენტს გარდაცვალების ამბავი თუ ისევ მალულად გვემოქმედა?

როცა დავდროდი ოჯახიდან ოჯახში და დიდი საშინელება იყო იმისა, რომ თავს დაგვესხმოდნენ, მაშინ პრემი-დენტს თქვა, - არც ცოცხალი და არც მკვდარი ამო ხელში არ ჩამავდითო. მაშინ ამ სიტყვებისთვის მნიშვნელობა არ მინიჭებია. ჩვენ ხომ ერთი ტყვე ვართ და პრემი-დენტი გვექნა, რომ თავდასხმის შემთხვევაში ცოცხალი არ დავინებოდით ხუნტას.

ლურჯაშვილის ოჯახში ვიმყოფებოდით 1 იანვრის დაახლოებით დამის 3-4 საათამდე, შემდეგ მოვიდა ტრაქტორი და პრემი-დენტის ნეშტი გადავასვენეთ სოფელ ჯინაშკარაში, კამპანაში ოჯახში. ბატონი ლურჯაშვილის ცოლი გვთხოვდა, სასწრაფოდ წავსულიყავით მისი ოჯახიდან, კატეგორიულად მოითხოვდა ჩვენგან პრემი-დენტის გადასვენებას.

შულამისას მალულად დავასვენეთ პრემი-დენტის ცხედარი ტრაქტორზე და მივედით ჯონსონ კამპანაში. სახლის სიახლოვეს (ეს ის ჯონსონია, საიდანაც ბრმა ზარანდისმა 27 დეკემბერს წაიყვანა პრემი-დენტი). მამ ბრმა ზარანდისს გავბარე პრემი-დენტს, ვუთხარი, რა უბედურებაც დაგვაცხდა თავს და ვიზოვეთ, თავის სახლში დასვენების უფლება მოეცა. ის არც დაეჭვებულა, ისე დაგვთანხმდა. გამოიტანა თავისი გარდაცვლილი მისი საკაცე (ამ საკაცე მოუხვედნენ ჯონსონს მამ, რომელიც ორი კვირის წინ სენაკში მოკლეს), მოვიდა ტრაქტორთან და საკაცეზე დასვენებული პრემი-დენტის ცხედარი შევიტანეთ კამპანაში სახლში.

ზვიად ზარანი

პირველად!!!

ზვიად ზარანი
ბამსახურდიას
დაცვის ნაპირი
საზოგადოებისათვის
დღემდე უხნობ
მოვლენებზე
კლასიკურად



პირველად!!!

პირველად!!!

გადასვლასო (ინტერვიუ ლუგვლას ხეობაში იმყოფებოდა), რათა იქ გავერჩელებინა ბრძოლა.

ფაქტიაში ყოფნის პერიოდში ამოვიღე ფაქტის პატრონი, რომელიც პროლეტარების ამოხატვანად ჩაიღივდა სოფელში და ამოიტანა წერილი. ვგონა, რომ წერილს პრემი-დენტს უგზავნიდნენ და გადასცა პრემი-დენტს. ბატონმა ზარანდმა ნახა, რომ წერილის ავტორი იყო ზარანი (ამთი კინოზარანი). პრემი-დენტს ეს წერილი გადასცა ჩვენთან ყოფნის დროს. აქვე მინდა, ვთქვა, რომ კინოზარანი და მისი პრემი-დენტს წავიდნენ, ფიფიების დასახლებიდან, ხოლო ბრმა ზარანი დარჩა. ზარანი ბრმა ზარანდისთან წავიდა, პრემი-დენტს ჰკითხა: რაა, რას გვუყვარებო. ბრმა ზარანი შემიძვარა უპასუხა, ესენი მოსკოვში წასულანო. ბატონი ზარანი გავიჟდა, - მოსკოვში რა უნდათო.

ორი დღის შემდეგ, როცა ძალიან აცივდა (1-2 დეკემბერი იყო), ჩავიდით სოფელ მუშა-

